ორთაბრძოლა

ანტიკომუნისტის ჩანაწერები

ვიქტორ კრასინი

წინასიტყვაობა და კომენტარები
რობერტ ვან ვორენისა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2012

ორთაბრძოლა

ანტიკომუნისტის ჩანაწერები

ვიქტორ კრასინი

მთარგმნელი: ლიანა გოგიჩაიშვილი

დაკაბადონება: თინათინ კვირკველია

ISBN 978-9941-18-098-9

© **2012, ვიქტორ კრასინი**

© **2012, რობერტ ვან ვორენი, წინასიტყვაობა და კომენტარები**

© **2012, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქართული თარგმანი)**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS

3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

წინასიტყვაობა ქართველი მკითხველისთვის v

წინასიტყვაობა 1

ორთაბრძოლა 21

ბავშვობა, სიყმაწვილე, სიჭაბუკე 23

კუზმა, ციხე, გაქცევა 49

„ოზერლაგი“ და „ბერლაგი“ 74

თავისუფლება 110

მონაწილეობა დისიდენტურ მოძრაობაში 139

მონაწილეობა დისიდენტურ მოძრაობაში (2) 187

ჩემი პარასკევები 235

ემიგრაცია 251

ცოცხლად დამმარხეს 269

სასამართლო 287

შესავალი 289

სასამართლო 292

ბრალდებები, რომლებიც გამოძიებისას წამომიყენეს 357

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები 361

დანართი 365

ინდექსი 372

წინასიტყვაობა ქართველი მკითხველისთვის

იმ მოსკოველი დისიდენტის მემუარების ქართულად გამოცემა, რომელიც დაახლოებით 40 წლის წინ „გატყდა“ კაგებეს დაკითხვისას, შეიძლება, ნაკლებად მნიშვნელოვნად და სულაც დროისა და ენერგიის უქმად ხარჯვად მოგეჩვენოთ. რამდენად რელევანტურია საქართველოსთვის და რატომ უნდა დაიხარჯოს დრო და ენერგია იმ ადამიანის მემუარების დაბეჭდვაზე, რომელმაც მეგობრებს უღალატა და მტერთან ამხილა?

თუმცა ვიქტორ კრასინის მემუარების კითხვისას, მკითხველი თანდათანობით მიხვდება, რომ მისი მოგონებები მრავლისმომცველია და სიღრმისეულ და ფუნდამენტურ საკითხებს ეხება – ეს მამაცი კაცის მოგონებებია, რომელმაც კოლიმაში, ჩრდილოეთის საბჭოთა სიკვდილის ბანაკებში, მრავალწლიან პატიმრობას გაუძლო და შემდგომში მოსკოვის დისიდენტთა საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი გმირი გახდა. ამავე დროს, ის არის კაცი, რომელმაც ვერ აიტანა მოსკოვის ლეფორტოვოს კაგებეს ციხის საკანში 9 თვის განმავლობაში მასზე განხორციელებული წამების მიზანმიმართული მექანიზმები, გატყდა და დანებდა. პარადოქსია, მაგრამ მისი დანებების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ის გახდა, რომ მან კოლიმაში გადარჩენა შეძლო ... ამ მამაცი ადამიანის თვითგადარჩენის სტრატეგიებმა უკვალოდ არ ჩაიარა და მასში ისეთი შიში ჩანერგა, რომ მოგვიანებით მეგობრების ღალატი აიძულა. იმიტომ კი არა, რომ ის ცუდი ადამიანი იყო, სულაც არა; ის ჩვეულებრივი ადამიანი იყო, მოკვდავი, რომელსაც იმის შიშმა, რომ სიცოცხლეს მისთვის საძულველი კაგებეს ხელში დაასრულებდა, გააკეთებინა ის, რასაც, ადრე თუ გვიან, უმეტესობა ჩვენგანი გააკეთებდა: თავი გადაირჩინა.

კრასინის მემუარები გულწრფელი და პირდაპირია და გვთავაზობს იმ ადამიანის გონებისა და სულის სიღრმისეულ ხედვას, რომელიც დღემდე სძულს ზოგიერთ თანამოაზრე დისიდენტს. მისი წიგ-

ნის რუსული გამოცემის გამოქვეყნებისა და რეკლამირებისას ერთმა რუსმა დისიდენტმა სოციალურ მედიაში დაწერა, რომ ეს წიგნი კიდევ უფრო ამყარებს მის მოსაზრებას, რომ კრასინი ცუდი ადამიანია. თუმცა, როგორც თავადვე თქვა, მას ეს წიგნი არც წაეკითხა, და არც არასდროს წაიკითხავდა, ისევე, როგორც არასდროს წაიკითხავდა იოსებ სტალინის მემუარებს, ოდესმე რომც გამოქვეყნებულიყო... რა საჭიროა წაკითხვა, კრასინი მანამდეა განსჯილი, ვიდრე მას შანსი მიეცემოდეს, აგვიხსნას, რა მოხდა.

ასეთი სულელური და უმეცარი რეაქცია არ არის გასაკვირი და გამომდინარეობს სამყაროზე ძალიან პრიმიტიული შავ-თეთრი შეხედულებებიდან. კრასინმა უღალატა, მაშასადამე ის „შავია". ყოფილ დისიდენტს აღარ აინტერესებს ის ფაქტი, რომ კრასინის მემუარები შეიძლება საინტერესო და მნიშვნელოვანიც კი იყოს. და მაინც, კრასინის წიგნი ცხადად და დამაჯერებლად ეწინააღმდეგება მოვლენების შავ-თეთრად დაყოფას. ის გულახდილია საკუთარ ნაკლოვანებებზე, შეცდომებზე, და რეპრესიებით გამოწვეულ მორალურ ტკივილზე საუბრისას, მაგრამ ის ასევე ძალიან გულწრფელად და პირდაპირ საუბრობს სხვა დისიდენტებზე. გმირის ნიღბის უკან ჩვეულებრივი ადამიანია, რომელსაც ეშინია, სვამს, კამათობს, ხშირად არაკეთილგონიერია.... ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანი, როგორიც მე და შენ ვართ. როდესაც ამას ვაცნობიერებთ, ის ფაქტი, რომ კაგებეს წნეხის ქვეშ კრასინი, და არა მხოლოდ კრასინი, „გატყდა", ჩვენთვის უცებ ხდება ადვილად ასახსნელი. მის ნაცვლად შეიძლება ჩვენც ვყოფილიყავით. ვინ ვართ ჩვენ, რომ განვსაჯოთ, მე და შენ ხომ მის ადგილას არ ვყოფილვართ?

სადავო ისტორია, რომელიც ეხება სამოქალაქო ომისა და პოლიტიკური უწესრიგობის პერიოდში გარდაცვლილ საქართველოს ერთერთ პრეზიდენტს, არ არის ერთადერთი მიზეზი, რითიც ეს წიგნი მნიშვნელოვანია. ის ასევე ერგება საქართველოს ამჟამინდელ კონტექსტს, სადაც ზომიერების ნაკლებობაა, სადაც ყველაზე მეტად საკუთარი (სწორი) და ოპონენტის (მცდარი) პოლიტიკური კურსის მიმართ დამკვიდრებულია ექსტრემისტული დამოკიდებულება, ხოლო ადამიანებს ავიწყდებათ, რომ ყოველი შეცდომისა და მარცხის უკან დგას ადამიანი, რომელსაც შეიძლება სწორედაც გარემოს მიერ აღქმულისგან განსხვავებული მიზნები გააჩნდა. ზომიერება თითქოს არასასურველია, როდესაც პოლიტიკური დებატები მწვავეა და და-

საკარგიც ბევრია, მაგრამ ის ნამდვილად გვეხმარება, დავინახოთ რეალობა და გავიაზროთ მთლიანი კონტექსტი. ზომიერება ასევე გვეხმარება, შევინარჩუნოთ ადამიანური ხედვა და გვერდიდან შევხედოთ მოვლენებსა და საკუთარ როლს ამ ყველაფერში.

იმედი მაქვს, საქართველოში ამ წიგნს ბევრი მკითხველი ეყოლება.

რობერტ ვან ვორენი
პროფესორი
საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კვლევები
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

წინასიტყვაობა

საბჭოთა კავშირში არაერთხელ ვყოფილვარ, მაგრამ 1981 წლის თებერვალში პირველად ჩავედი, როგორც დისიდენტთა კურიერი. ამსტერდამის უნივერსიტეტში ისტორიას და რუსულ ენას ვეუფლებოდი და ჩემი ყოველდღიური ცხოვრება უკვე იმთავითვე დაკავშირებული იყო სსრ კავშირში არსებული დისიდენტური მოძრაობის პერიპეტიებთან. მანამდე, წლინახევრის განმავლობაში, ათობით დისიდენტი დააკავეს, ზოგს პატიმრობა მიუსაჯეს, ზოგი კი სასჯელის მოსახდელად ბანაკებში გაგზავნეს, ზოგი გადაასახლეს, ზოგიც ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მოათავსეს, სადაც იძულების წესით „მკურნალობდნენ". დაპატიმრებების ტალღა დაიწყო 1979 წელს, ოლიმპიური ასპარეზობის წინ, რომელიც 1980 წლის ზაფხულში უნდა გამართულიყო მოსკოვში და საბჭოთა კავშირის რამდენიმე სხვა ქალაქში. მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ განიზრახა, ჩაეკლა დისიდენტური მოძრაობა. უბრალოდ, აუცილებლად უნდა ჩავსულიყავი საბჭოთა კავშირში, სანამ ყველა დისიდენტი გისოსებს მიღმა აღმოჩნდებოდა.

ლენინგრადში პირველად მივაშურე ვასილის კუნძულს,სადაც ნევის ნაპირას, საადმირალოს პირდაპირ მდებარე სახლში, ცხოვრობდა ვალერი რეპინი – სოლჟენიცინის ფონდის ერთ-ერთი განმკარგულებელი. მას ევალებოდა პოლიტპატიმრების ოჯახებისთვის გადაეცა საჭირო მატერიალური დახმარება იმ სახსრებიდან, რომლებიც ამ მიზნით იყო გამოყოფილი ალექსანდრე სოლჟენიცინის წიგნის „არქიპელაგ გულაგის" ჰონორარებიდან. ბევრი ოჯახისთვის ეს ერთადერთი საარსებო საშუალებას წარმოადგენდა.[1] სავსებით ლოგიკუ-

1 სოლჟენიცინის ფონდი 1974 წელს დააარსა მწერალმა ალექსანდრე სოლჟენიცინმა პოლიტპატიმრებისა და მათი ოჯახების დასახმარებლად. ფონდი არსებობდა წიგნის „არქიპელაგ გულაგის" ყველა გამოცემის ჰონორარების ხარჯზე. პოლიტპატიმრების ოჯახები იღებდნენ მოკრძალებულ „სოციალურ დახმარებას", გადასახლებული ან სასჯელის მოხდის შემდეგ შინ დაბრუნებული პოლიტპატიმრებისთვის იძენდნენ ტანსაცმელს და სხვა საჭირო ნივთებს.

1. სერგეი ხოდოროვიჩი, ირინა გინზბურგი, იური ზაქსი

რია, რომ სუკი ცდილობდა, დაენგრია სოლჟენიცინის ფონდის ინფრასტრუქტურა.

რეპინს გადავეცი მატერიალური დახმარება, კერძოდ, წამლები, თბილი ქვედა საცვლები (ბანაკების ტუსაღებისა და გადასახლებულთათვის), ვიტამინები, ბურთულიანი კალმები და სანთებლები (ბანაკის მცველთა მოსასყიდად), აგრეთვე „ჯადოსნური გრიფელის დაფები“ – საბავშვო სათამაშოები. მათი გამოყენება ჩინებულად შეიძლებოდა საიდუმლო საუბრებისთვის იმ ბინებში, რომლებიც ისმინებოდა (დაფაზე დაწერდით, რასაც გინდოდათ, აჩვენებდით თქვენს თანამოსაუბრეს, შემდეგ წაშლიდით და ახალ წინადადებას დაწერდით). რეპინისგან კი მივიღე ინფორმაცია დაპატიმრებების, სასამართლო პროცესების და საპატიმროებში იმჟამად არსებული ვითარების შესახებ. ერთი-ორი საათი ვისაუბრეთ, დავემშვიდობეთ ერთმანეთს და წამოვედი. მისია შესრულებული იყო. ახლა შემდეგ მისამართზე ვიყავი მისასვლელი.

ჩემი სტუმრობის შემდეგ, ვალერი რეპინი მალე დააპატიმრეს. იგი მიიყვანეს „დიდ სახლში“ – სუკის ლენინგრადის შტაბ-ბინაში, სადაც დაიწყო დაკითხვებისა და ფსიქოლოგიური ძალმომრეობის დაუსრულებელი პროცესი. რეპინს წაუყენეს ბრალდება რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლით – „სამშობლოს ღალატი“. ასეთი დანაშაული კი იმსახურებს მაქსიმალურ სასჯელს – სიკვდილს. თხუთმეტი თვის განმავლობაში ცალკე საკანში გამომწყვდეული რეპინი როგორღაც უძლებდა მასზე განხორციელებულ ზემოქმედებას. მაგრამ ერთხელაც, როდესაც მორიგ დაკითხვაზე მიჰყავდათ, ერთ-ერთ კაბინეტში, რომლის კარიც „შემთხვევით“ ღია დარჩენოდათ, რეპინმა თვალი მოჰკრა თავის ახალგაზრდა ცოლს და ახალშობილ ქალიშვილს. „ოჰ, ბოდიშს გიხდით, – უთხრა სუკის ოფიცერმა, – თქვენ ხომ დუმხართ, ჰოდა, ჩვენც თქვენი ცოლი დავაპატიმრეთ. ვნახოთ, ალაპარაკდება თუ არა. თქვენს ქალიშვილს კი ბავშთა სახლში გავგზავნით“.

უხეში და სასტიკი ხერხი იხმარეს რეპინის გასატეხად და მიაღწიეს კიდეც საწადელს. იმ დღეს მან დაასახელა ორასი კაცი, ვისთანაც მუშაობდა ან ურთიერთობა ჰქონდა. მოგვიანებით ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა, რომ სოლჟენიცინის ფონდს აფინანსებს ცსს (აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო). მის მონანიებას შორს მიმავალი შედეგები ჰქონდა დისიდენტური მოძრაობისთ-

ვის. მაგალითად, მისი ჩვენებების საფუძველზე დააპატიმრეს და გაასამართლეს სერგეი ხოდოროვიჩი, სოლჟენიცინის ფონდის მთავარი განმკარგულებელი.[2] რეპინის მიერ დასახელებულ პირთა შორის იყვნენ ჩემნაირი კურიერები. მათ აუკრძალეს სსრ კავშირში ჩასვლა. მე გადავრჩი.[3] თავად რეპინი, რომელიც ცოტა ხნის მერე გამოუშვეს, გაუჩინარდა. მე იგი აღარასოდეს მინახავს. რეპინის აღიარებას მაშინ ჩემთვის სხვა არაფერი ერქვა, თუ არა ღალატი. ახალგაზრდა ვიყავი და გამოუცდელი, წრთობა მაკლდა, მზამზარეული აზრები თუ დასკვნები ძვალსა და რბილში მქონდა გამჯდარი. ჩემი წარმოდგენით, დისიდენტური მოძრაობა საბჭოთა კავშირთან საომარ მდგომარეობაში იყო, ომის დროს კი ადგილი არ რჩება ბევრი ფიქრისა და განსჯისთვის. არის მხოლოდ თეთრი და შავი.

ასე ვფიქრობდი 1980-იანი წლების დამლევამდე, სანამ დავუმეგობრდებოდი საბჭოთა ფსიქიატრს სიმონ გლუზმანს. იგი შემთხვევით გავიცანი ჩემი მოსკოველი მეგობრების ოჯახში, რომელსაც რამდენიმე დღით სტუმრობდა. გლუზმანი ცდილობდა გამოექვეყნებინა თავისი სტატია, რომელიც ეხებოდა საბჭოთა კავშირში პოლიტიკური მიზნით ფსიქიატრიის ბოროტად გამოყენებას.[4] ეს იყო „გლასტნოსტის" (საჯაროობის) ხანა, როდესაც ნელ-ნელა ისეთი რთული და აკრძალული თემების განხილვაც კი დაიწყო, როგორიც არის ფსიქიატრიის ბოროტად გამოყენება. გლუზმანს სადამსჯელო ფსიქიატრიის წინააღმდეგ გალაშქრებისთვის მიუსაჯეს ათი წელი, რომელიც მან მოიხადა ბანაკებში და გადასახლებაში. მალე მივხვდი, რომ ამ საკითხებს გლუზმანი გაცილებით უფრო ფილოსოფიურად უდგებოდა

2 სერგეი ხოდოროვიჩი (1932) – პროფესიით კომპიუტერის პროგრამისტი. დააპატიმრეს 1982 წელს. ერთი წლის მერე მიუსაჯეს სამი წლით პატიმრობა, სასჯელის ბანაკებში მოხდით. სასამართლო გამოძიების დროს უსასტიკესად ეპყრობოდნენ. ბანაკში კიდევ სამი წელი დაუმატეს. 1987 წელს დასავლეთში ემიგრირების ნება დართეს.

3 რეპინმა არ იცოდა ჩემი ნამდვილი გვარი, მისთვის ცნობილი იყო მხოლოდ ფსევდონიმი. ამიტომ სუკმა დიდი ხნის განმავლობაში ვერ მომაგნო. იხ. რობერტ ვან ვორენი: On Dissidents and Madness, p.9.

4 სიმონ გლუზმანი (1946) კიეველი. დააპატიმრეს 1971 წელს იმის გამო რომ საბჭოთა დისიდენტი გენერალი პეტრე გრიგორენკო ფსიქიკურად ჯანმრთელად ცნო (ოფიციალური დიაგნოზის საწინააღმდეგოდ). 1972 წელს მიუსაჯეს შვიდი წელი, სასჯელის ბანაკებში მოხდით და სამი წლით გადასახლება (ვადა, რომელიც მან მთლიანად მოიხადა). 1991 წელს დააარსა უკრაინის ფსიქიატრთა ასოციაცია, რომლის აღმასრულებელი დირექტორიც გახდა. 2011 წელს აირჩიეს ასოციაციის პრეზიდენტად.

და კონკრეტულ, მკაფიო პასუხს ვერ იძლეოდა. თავიდან ეს არ მომეწონა. ჩვენ ყველას, ვინც ჩაბმული ვიყავით სსრ კავშირში პოლიტიკური მოტივით ფსიქიატრიის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ საერთაშორისო კამპანიაში, ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ საბჭოთა ფსიქიატრიის იზოლაცია უნდა გაგრძელებულიყო, სანამ ეს ბოროტმოქმედება არ შეწყდებოდა. გლუზმანმა იმთავითვე არ გაიზიარა ჩვენი შეხედულებები. არ სჯეროდა, რომ ეს სასიკეთო შედეგს მოიტანდა. გვეკამათებოდა, ამით იქნებ უფრო რიგით ფსიქიატრებს აყენებთ ზიანს და ვერც ბოროტმოქმედების მსხვრეპლთ უმსუბუქებთ ხვედრსო. გაქვთ კი უფლება, იზოლაციაში მოაქციოთ 45 ათასი ფსიქიატრი და მოწყვიტოთ მსოფლიო გაერთიანებას, მაშინ, როდესაც მხოლოდ რამდენიმე მონაწილეობდა ამ საზარელ დანაშაულობებში? – გვეკითხებოდა იგი. პრაქტიკულად, ყველაფერი, რასაც ეფუძნებოდა კამპანიის დასავლელი მონაწილეებისა და საბჭოთა დისიდენტების მოსაზრებები, საეჭვო და საკამათო იყო გლუზმანისთვის.

მაგრამ გავიდა წლები და პატივისცემით განვიმსჭვალე გლუზმანის თვალსაზრისისადმი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა საკუთრივ ჩემს აზროვნებაზე. მაგალითად, ძალიან მალე მივხვდი, რომ ფსიქიატრიის დამოუკიდებელი ასოციაცია, რომელიც ჩვენი დახმარებით შეიქმნა 1989 წელს, საბჭოთა კავშირის ისეთივე პროდუქტი იყო, როგორიც ნევროპათოლოგებისა და ფსიქიატრების სრულიად საკავშირო ოფიციალური სამეცნიერო საზოგადოება, და რომ „მორალურ მაქსიმალისტთა“ ესოდენ პატარა ჯგუფს არ ხელეწიფებოდა შეეცვალა საბჭოთა ფსიქიატრიის ლანდშაფტი. გაცილებით უფრო ეფექტიანი აღმოჩნდა გლუზმანის მიდგომა, რომელმაც დაიყოლია რამდენიმე წამყვანი უკრაინელი ფსიქიატრი და ამგვარად შექმნა „ფსიქიატრთა ეროვნული მოძრაობა“, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ნომენკლატურის ერთი ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობდა.[5] მე აქტიურად ვმონაწილეობდი იმ ცდებში, რომელთა მიზანი იყო ფსიქიატრიის შიგნიდან რეფორმირება.

სწორედ ამ პერიოდში შევხვდი საბჭოთა ფსიქიატრებს და დავუმეგობრდი მათ. ისინიც აღშფოთებული იყვნენ ფსიქიატრიულ

5 უკრაინის ფსიქიატრთა ასოციაცია ყოფილ სსრ კავშირში გახდა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის რეფორმების ერთ-ერთი წამყვანი მონაწილე და მოქმედი ოფისის მქონე ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც განიხილავს საჩივრებს ფსიქიატრიის ბოროტად გამოყენების შესახებ. ამჟამად მასში ორიათასი კაცი მუშაობს.

საავადმყოფოებში პაციენტებისთვის შექმნილი პირობების გამო, იზიარებდნენ ჩემს განცდებსა და მრწამსს, გულწრფელად სურდათ, ბოლო მოღებოდა ადამიანის უფლებების ამ მასობრივ დარღვევებს. ჩემთან შეხვედრა კი მათთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო: „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტის“ ნაცვლად მათ იხილეს შედარებით ნორმალური არსება, რომელთანაც სავსებით შესაძლებელი იყო ურთიერთობა.

„სასამართლო“

იმ წლებში წავიკითხე ვიქტორ კრასინის წიგნი „სასამართლო“. იგი დაბეჭდა ნიუ იორკის ემიგრანტთა ერთ-ერთმა ძირითადმა გამომცემლობამ "Chalidze Publications"-მა, რომლის მიერ გამოქვეყნებული დისიდენტური ლიტერატურის დიდი ნაწილი სსრ კავშირში ბრუნდებოდა. მოგვიანებით, 1984 წელს, „სასამართლო“ გამოვიდა პოლონურ და ფრანგულ ენებზე, ჟურნალმა „ნიუ იორკ თაიმსმა“ კი გამოაქვეყნა მისი შემცირებული ინგლისური ვარიანტი.[6] „სასამართლო“ უჩვეულო წიგნია, როგორც ფორმით, ისე შინაარსით. ავტორი პირველი დისიდენტია, რომელმაც ვერ გაუძლო სუკის ზემოქმედებას. მოგვიანებით მან საჯაროდ გააანალიზა და ახსნა, როგორ მოახერხა სუკმა, გაეტეხა იგი. ეს ოპერაცია განხორციელდა 1972-73 წლებში თვით სუკის თავმჯდომარის იური ანდროპოვის უშუალო ხელმძღვანელობით, რომელიც ისწრაფვოდა, გაენადგურებინა დისიდენტური მოძრაობა. საბოლოოდ, კრასინისა და იმავე საქმის გამო ბრალდებული პეტრე იაკირის საჯარო მონანიებამ ძლიერი დარტყმა მიაყენა დემოკრატიულ მოძრაობას სსრ კავშირში. ეს იყო გაფრთხილება სხვებისთვის: სუკმა მოახდინა „საომარი მოქმედების წარმოების წესების“ დემონსტრირება, ასევე გააცხადა თავისი სურვილი და ის, რომ შეუძლია გატეხოს თვალსაჩინო დისიდენტები, გამოიყენოს ისინი „სატყუარად“ მათი მეგობრებისა და კოლეგებისთვის. ზოგიერთმა ყურად იღო ეს გაფრთხილება და გადაწყვიტა, ხელი აღარ მოეწერა

6 "How I Was Broker by the KGB", New York Times Magazine, 1984 წლის 19 მარტი. პოლონური ვარიანტი 1984 წელს გამოაქვეყნა ვარშავის გამომცემლობა „წრემ“. ფრანგული ვერსია სახელწოდებით "L'Affaire K" 1986 წელს დაბეჭდა გამომცემლობა "Balland"-მა.

საჯარო განცხადებებზე, დარჩენილიყო დისიდენტური მოძრაობების „ანონიმურ მომხრედ“.[7]

„სასამართლოს“ ფორმა – კრასინის გაუთავებელი პოლემიკა თავის ცოლთან ნადეჟდასთან, რომელიც აიძულებს მეუღლეს, უფრო ღრმად ჩასწვდეს თემას და იპოვოს პასუხები ყველაზე მტკივნეულ კითხვებზე – ცოცხლად და ამაღელვებლად ასახავს, თუ რა შედეგები მოუტანა კრასინის აღიარებამ თავად მას, მის ცოლს და საერთოდ დისიდენტურ მოძრაობას.

მაგრამ „სასამართლომ“ მაინც ვერ მიიზიდა ფართო მკითხველი. ალბათ, წიგნი გამოაქვეყნეს ძალზე ადრე, დისიდენტური მოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე წელს, როდესაც ეს მოძრაობა სუკის რეპრესიების შედეგად გაქრობის პირას იყო. წიგნი თაროებს შემორჩა მომავალი ისტორიული კვლევა-ძიებისთვის. მე კი მან იმ უცნობი სამყაროს კიდევ ერთი სარკმელი გამიღო, რომელთან შეხვედრასაც ადრე გავურბოდი, თანაც მაშინ მზად მქონდა მარტივი პასუხები ისეთ რთულ კითხვებზე, როგორიც არის: რა აიძულებს ადამიანს, გატყდეს დაკითხვის დროს? რა შედეგები მოაქვს ამას პრაქტიკული და ზნეობრივი თვალსაზრისით? როგორია მერე ამ ადამიანის ცხოვრება და მისთვის ძვირფას ადამიანებთან ურთიერთობა? როგორ უმკლავდება ოსტრაკიზმს, რაოდენ ლოგიკურიც უნდა გვეჩვენებოდეს იგი? კრასინმა წამოჭრა ყველა ეს კითხვა და შეეცადა გულწრფელად, პატიოსნად გაეცა პასუხი მათზე. წიგნმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

შერიგება

მთელი ისტორიის მანძილზე ყოველ ქვეყანას აუცილებლად სჭირდება რამდენიმე ათწლეული, რათა ფხიზლად და რაც შეიძლება მიუკეძოებლად გადახედოს თავის წარსულს. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან მხოლოდ 30 წლის შემდეგ, 1970-იანი წლების დამლევს, დაიწყეს ჰოლანდიაში გერმანიის ოკუპაციის

7 მაგალითად, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ლენინგრადელმა იური ნულერმა, ფსიქიატრიის ცნობილმა პროფესორმა, რომელმაც გამოიარა კოლიმის ბანაკები. იგი ეხმარებოდა დისიდენტებს და მათს ოჯახებს, მხარს უჭერდა მორალურად და მატერიალურად, აგრეთვე ჩადიოდა გადასახლებული პატიმრების მოსანახულებლად. იხ. რობერტ ვან ვორენი: On Dissidents and Madness, p. 177-178.

დროს ჰოლანდიელი ხალხის არცთუ გმირული საქციელის განხილვა. მიჩნეული იყო, რომ ჰოლანდიის მოსახლეობა მასობრივად შეუერთდა წინააღმდეგობის მოძრაობას, მაგრამ როგორ მოხდა, რომ უამრავი ჰოლანდიელი ებრაელი დაიღუპა საკონცენტრაციო ბანაკებში. მეცნიერები ცდილობდნენ, ეპოვათ პასუხი ამ საჩოთირო კითხვაზე. კამათი დღემდე არ ცხრება და კიდევ დიდხანს გაგრძელდება, მაგრამ უკვე ახლავე ცხადია, რომ ჰოლანდიელთა უმრავლესობა უფრო მოერგო გარემოებებს, ვიდრე წინააღმდეგობას უწევდა. ამან კი მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი იმას, რომ ჰოლანდიელ ებრაელთა 75% გაიჟლიტა ომის დროს.[8]

ასე იყო ეს და ასეა ახლაც – და არა მარტო ჰოლანდიაში. ადამიანთა უმეტესობა ამჯობინებს წინააღმდეგობის გაუწევლობას, რათა შეინარჩუნოს სიცოცხლე და გადაარჩინოს თავისი ოჯახი, თუ დასჭირდა, მორჩილებაზეც ყაბულსაა. ამ მოლიპულმა გზამ შეიძლება იგი არა მარტო კომპრომისამდე, არამედ სულიერ გამოფიტვამდეც მიიყვანოს. როგორც გდრ-ს[9] სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს „შტაზის“ ერთ-ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა თქვა, „წლების განმავლობაში თქვენი სულიერი არსი გაკოტრდა. მრავალი წლის განმავლობაში კოტრდებოდა. ეს ეხებოდა გდრ-ის თითოეულ მცხოვრებს. ზოგს – მეტად, ზოგს – ნაკლებად. ორმაგ მორალს ფესვები გადგმული ჰქონდა სკოლაში. ეს იყო ყოველდღიური სიცრუე, რომელშიც მეტ-ნაკლებად ყველა მონაწილეობდა. (...) ერთხელ თუ შეეგუები დიდ პოლიტიკურ სიცრუეს, სხვა სფეროებში პატარ-პატარა ტყუილების უფლებასაც მისცემ თავს. გაუცნობიერებლად...“[10]

დროთა განმავლობაში გამოჩნდა უამრავი შრომა, რომელთა ავტორები შეეცადნენ, აეხსნათ, რატომ გადაიქცა ამდენი ჩვეულებრივი ადამიანი მასობრივ მკვლელად მეორე მსოფლიო ომის დროს. იმიტომ, რომ სანამ ადამიანთა უმეტესობა ეგუებოდა შექმნილ ვითარებას, თავის გადარჩენას ცდილობდა, ზოგი კი წინააღმდეგობას უწევდა, სხვები დუმილისა და შემგუებლობის საზღვარს არღვევდნენ და აშკარად თანამშრომლობდნენ ოკუპანტებთან. ხანგრძლივმა გამოკვლევებმა მამხილებელი და შემზარავი ფაქტები გამოამზეურა. ადამიანების დიდი უმრავლესობა, რომელიც მონაწილეობდა მასობ-

8 იხ. მაგალითად, რობერტ ვან ვორენი: Undigested Past.Rodopi, 2011.

9 გდრ – გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

10 ბარბარა მილერი: Narratives of Guiltand Compliance in Unified Germany. Routledge, London/New York, 1999, p.99.

რივ მკვლელობებში მეორე მსოფლიო ომის დროს, სულაც არ ყოფილა სადისტი ან შეშლილი. ისინი იყვნენ ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც ჩვეულებრივ ცხოვრებას ეწეოდნენ, ჰყავდათ ოჯახი, ჰქონდათ სამსახური, ნორმალური სურვილები და ოცნებები. მაგრამ ექსტრემალური გარემოებები აიძულებდა მათ, ექსტრემალურად მოქცეულიყვნენ და ხშირად, ვინც თავიდან უარს ამბობდა ადამიანის მოკვლაზე, შემდეგში ერთიათად სძლევდა შიშს და ყველაზე დაუნდობელი მკვლელი ხდებოდა.[11] ასეთი გამოკვლევები არა მარტო გვეხმარება, ავხსნათ ჩადენილი დანაშაულობანი, არამედ გვიჩვენებს, რომ ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის მეტად მყიფეა და ბევრი გარეშე ფაქტორი გავლენას ახდენს იმაზე, თუ საბოლოოდ, ბარიკადების რომელ მხარეს აღმოჩნდება ადამიანი. ეს ახსნა გვეხმარება, გავიგოთ ადამიანის საქციელი, მაგრამ ასევე გულისხმობს ექსტრემალურისადმი წაყრუებას. როგორც თავის წიგნში „ასეთია კაცის ბუნება“ კრისტოფერ ბრაუნინგი წერდა: „ახსნა არ ნიშნავს გამართლებას, გაგება არ ნიშნავს პატიებას“.[12]

თუმცა ოცი წელია, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საბჭოთა ტოტალიტარული სახელმწიფო დაინგრა, ბევრი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა ისე შეიცვალა, რომ ვეღარ იცნობ. მეორე მხრივ, ოცი წელი შედარებით მცირე დროა საიმისოდ, რომ შეურიგდე კო-

11 ეს-ეს-ის შესახებ წიგნში გერმანელმა ჟურნალისტმა ჰაინც ჰოჰნემ გააანალიზა, თუ როგორ ხდებოდა ოპერატიული ქვედანაყოფების წევრთა რეკრუტირება, რომლებიც აწყობდნენ და ასრულებდნენ მკვლელობებს ნაცისტური ჯარების მიერ ოკუპირებულ აღმოსავლეთ ევროპაში. მან გამოიტანა დასკვნა, რომ ამ ქვედანაყოფებს სულაც არ არჩევდნენ სისასტიკისა და სადიზმის მიხედვით. „სინამდვილეში, – წერს იგი, – ებრაელთა ლიკვიდატორები ადამიანთა საინტერესო ჯგუფს წარმოადგენდნენ.. ესენი იყვნენ აკადემიკოსები, სამინისტროების თანამშრომლები, ადვოკატები, მათ შორის იყვნენ პროტესტანტი მღვდელი და ოპერის მომღერალიც კი (...)“ ჰოჰნემ გაარკვია, რომ ქვედანაყოფებში კანდიდატებს ირჩევდნენ სწორედ იმიტომ, რომ ისინი იყვნენ „ჩვეულებრივი“ ჯანსაღი გონების ადამიანები და არა ვიღაც სადისტები. ხელმძღვანელობას საკმარისად კეთილსაიმედოდ არ მიაჩნდა ისინი, ვისაც მკვლელობა სიამოვნებას ანიჭებდა. ჰოჰნე წერს: „მასობრივი განადგურების წესსა და მასშტაბს განსაზღვრავდნენ არა სადისტები, არამედ პატივსაცემი მეოჯახეები, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ ანტისემიტიზმი ერთგვარ კონტროლს უწესებს ჭირის გავრცელებას, გადაქცეულია უსახურ მექანიკურ სისტემად, რომელიც მუშაობს სამხედრო მრეწველობის სიზუსტით და ადამიანს უკარგავს პასუხისმგებლობის გრძნობას“. იხ. ჰაინც ჰოჰნე: The Order of the Death's Head. The Story of Hitler's SS. Pan Books, London, 1969, p.328-329.

12 კრისტოფერ ბრაუნინგი "Ordinary Men", p.XVIII.

ლექტიურ და ინდივიდუალურ წარსულს. არსებითად, ეს მხოლოდ მომენტია ისტორიაში, როდესაც წარსულისადმი იღვიძებს გულწრფელი ინტერესი. იზრდებიან ახალი თაობები და სანამ წინა თაობა ცდილობს, მეხსიერებიდან ამოშალოს თვით სსრ კავშირის არსებობაც კი, მომდევნო თაობა რეალურ ინტერესს იჩენს იმისადმი, თუ რა ხდებოდა საზოგადოებაში, რომელშიც ცხოვრობდნენ მისი მშობლები, ბებია-ბაბუები, და ცდილობს, არა მარტო შეიტყოს, არამედ გაიგოს კიდეც.[13] მაგრამ უფრო დაბალანსებული ისტორიოგრაფიისთვის საჭიროა ზოგიერთი ძირითადი პირობა: სასიკეთო პოლიტიკური სიტუაცია (რომელიც უზრუნველყოფს ღია დისკუსიისა და საარქივო მასალების შესწავლის უფლებას), ეკონომიკური განვითარების გარკვეული დონე (რომელიც ადამიანებს მისცემს საშუალებას, მხოლოდ ის არ ჰქონდეთ საფიქრალი, როგორმე თავი გადაირჩინონ) და ერთგვარი პოლიტიკური სტაბილურობა (რომელიც საშუალებას აძლევს ქვეყანას, არ გაიზიაროს საყოველთაოდ მიღებული შეხედულება ისტორიაზე, რომელშიც ერთი გმირია, მეორე კი – ბოროტმოქმედი, გაუღვიძებს ადამიანებს თვითანალიზისა და მოსახლეობის როლის შეფასების სურვილს, როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადო დონეზე).

დისიდენტური მოძრაობის ისტორიოგრაფია ჯერ არ გასცილებია პირველი ფაზის ფარგლებს. როგორც საბჭოთა, ისე პოსტსაბჭოთა პერიოდში დაწერილი წიგნების უმრავლესობა ხატავს საკმაოდ ერთგანზომილებიან სურათს, სადაც შეუპოვარი ადამიანები გმირულად ებრძვიან ყველგანმსუფევ და ყოვლისშემძლე სახელმწიფოს, რომელიც ესწრაფვის ნებისმიერი ფორმის ოპოზიციის განადგურებას. ჩვენ, დასავლეთში გაჩაღებული საერთაშორისო კამპანიის მონაწილეებმა, რომლებმაც ცხოვრების დიდი ნაწილი შევალიეთ საბჭოთა უფლებადაცვითი მოძრაობის მხარდაჭერას, დიდწილად შევუწყვეთ ხელი ასეთი სურათის შექმნას. იმ პოლიტპატიმრების საიმედო დაცვის უზრუნველსაყოფად, რომელთა გათავისუფლებასაც ვცდილობდით, ზოგჯერ „ვალამაზებდით“ მათს ბიოგრაფიას, ზოგს მწერლად ვნათლავდით, ზოგსაც – პოეტად, იმ იმედით, რომ დასავლეთის ორგანიზაციები დაგვთანხმდებოდნენ, ხელი მოეკიდათ მათი საქმის-

13 ცოდნის წადილის საილუსტრაციოდ გამოდგება, მაგალითად, ის, რომ საქართველოში გაჩნდა ახალგაზრდა მკვლევართა ჯგუფი, რომელიც ცდილობს, ისტორია აღადგინოს კომპარტიის არქივების შესწავლის გზით. მე ასევე ვატყობ, რომ ამით დაინტერესებული არიან ჩემი სტუდენტები საქართველოსა და ლიტვაში.

თვის და შემოუერთებოდნენ ჩვენს კამპანიას. ეჭვი არ მეპარება, რომ სწორად ვიქცეოდით, მაგრამ ასეთი მიდგომით, არა მარტო უფრო თვალსაჩინო პიროვნებებად ვასაღებდით ადამიანებს, ვიდრე სინამდვილეში იყვნენ, არამედ ვაძლიერებდით იმ მოლოდინს, რომელსაც შემდგომში ისინი ვეღარ ამართლებდნენ. ზოგჯერ ეს იყო როგორც დასავლეთის, ისე გათავისუფლებული პოლიტპატიმრების იმედგაცრუების მიზეზი.

ბევრი არაფერი შეცვლილა არც ოცი წლის შემდეგ, თუმცა დისიდენტთა დიდი ნაწილი სულაც არ აღმოჩნდა ისეთი, როგორც მათ წარმოვაჩენდით. მახსენდება შემთხვევა, როდესაც ერთმა ცნობილმა უკრაინელმა პოლიტპატიმარმა შეიტყო, რომ გლუზმანმა გახსნა საკუთარი გამომცემლობა და მას თავისი მოგონებები მიუტანა. გლუზმანმა სიამოვნებით დაიტოვა ხელნაწერი, რომლის წაკითხვის შემდეგ დაურეკა ავტორს და გაოცებულმა ჰკითხა, როგორ იფიქრე, რომ მე, უკრაინელი ებრაელი, დავბეჭდავ ასეთ ვულგარულ ანტისემიტურ წიგნსო. ავტორმა იხტიბარი არ გაიტეხა და პასუხად შესთავაზა, ხელნაწერიდან ამოეღო ანტისემიტური ფრაგმენტები და ისე დაებეჭდა. სხვა დისიდენტები, რომელთა გათავისუფლებისთვის ძალ-ღონეს არ ვიშურებდით, აღმოჩნდნენ უკიდურესი ნაციონალისტები და გონებაშეზღუდული რასისტები, ზოგიერთი მათგანი იმ კონფლიქტების მონაწილეც კი გახდა, რომლებსაც არაფერი საერთო არ ჰქონდათ დემოკრატიასთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი აღმოჩნდნენ ჩვეულებრივი ადამიანები და არა ჩვენი შექმნილი სურათების ერთგანზომილებიანი გმირები. ამით იმის თქმა როდი მინდა, რომ არ ღირდა ბრძოლა მათი სიტყვის თავისუფლებისთვის, – პირიქით. და მაინც, სულ ცოტა, პარადოქსული მოვლენა იყო, როცა ხედავდი, რომ იმათთვის, ვისაც აქტიურად იცავდი, ესოდენ უცხო აღმოჩნდა შენთვის უმნიშვნელოვანესი ღირებულებები.

Zersetzung

ვიქტორ კრასინის წიგნი უნიკალურია. იგი არაჩვეულებრივად პატიოსანია როგორც საკუთარი თავის, ისე იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მას გარს ეხვია, რომლებთანაც იზიარებდა იმედებსა თუ შიშს, რომლებთან ერთადაც ჩამოაყალიბა საბჭოთა დისიდენტური მოძრაობის ბირთვი 60-იან წლებში და 70-იანი წლების დამდეგს და

რომლებსაც უშუალოდ ან ირიბად შეეხოთ მისი მონანიება სუკის დაკითხვების შედეგად.

ეს გამოცემა მოგონებების კრებულია. იგი შედგება ვიქტორ კრასინის ორი ხელნაწერისა და მისი მეუღლის ნადეჟდა ემელკინას ერთი ხელნაწერისგან, რომელმაც გაიზიარა კრასინის, როგორც განკიცხულის ბედი და ემიგრაცია შეერთებულ შტატებში, სადაც გარდაიცვალა 2010 წლის 27 მაისს.[14] თავის მემუარებში იგი იხსენებს, როგორ აღმოჩნდა დისიდენტურ მოძრაობაში, სადაც შეხვდა ვიქტორ კრასინს და როგორ მუშაობდა თვითგამოცემის მბეჭდავ-მემანქანედ. წიგნში შევიდა „სასამართლოს" ორიგინალური გამოცემა და კრასინის სხვა მოგონებები, რომლებიც მოიცავს მისი ცხოვრების მნიშვნელოვან პერიოდებს. მეორე ხელნაწერი დაწერილია 2010-2011 წლებში და შეიძლება მივიჩნიოთ იმ ადამიანის ბოლო აღიარებად, რომელმაც 40 წლის დუმილის შემდეგ გადაწყვიტა, მოვლენების მისეული ვერსია გადმოეცა ისევე ალალმართლად და უკომპრომისოდ, როგორც ეს გააკეთა თავის მონოგრაფიაში „სასამართლო". იმ ადამიანის მოგონებებს, რომლის სიცოცხლის წუთებიც დათვლილია, გადავყავართ 60-იანი წლებისა და 70-იანი წლების დამდეგის ატმოსფეროში, გვაგრძნობინებენ, თუ რა შიში და შეშფოთება იპყრობდა მის მეგობარ დისიდენტებს და თავად მას, გვიჩვენებს მათს სისუსტეებსა და ძალას, მათი იუმორის გრძნობას და ყველა სიძნელის მიუხედავად, გაუნელებელ მისწრაფებას, გაეგრძელებინათ თითქოსდა უიმედო ბრძოლა. შემთხვევითი როდია, რომ დისიდენტების საყვარელი სადღეგრძელო იყო: „გაუმარჯოს ჩვენს უიმედო საქმეს!"

წიგნის რედაქტირებისა და კრასინის მიერ მოხსენიებული დისიდენტების შესახებ მოკლე ბიოგრაფიული შენიშვნების შედგენისას, სულის სიღრმემდე შემძრა ბევრი მათგანის ტრაგიკულმა ბედმა. გამაოგნებელი იყო თვითმკვლელობათა მაღალი პროცენტი, როგორც თვით სსრ კავშირში დევნის დროს, ისე დასავლეთში ემიგრაციის შემდეგ. მუდმივი ზემოქმედება, სუკის საგულდაგულოდ დაგეგმილი ცდები, მორალურად წაეხდინათ დისიდენტები, დასავლეთში გადახვეწის შემდეგ გულგატეხილობა დაკარგული ცხოვრების გამო, და თუნდაც რამენაირი მომავლის უქონლობა, აიძულებდა ბევრ დისიდენტს, ხელი აეღო სიცოცხლეზე. მახსოვს, რა შოკი გადავიტანე,

14 იხ. დანართში მიძღვნა ნადეჟდა ემელკინას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.